ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №62

13 თებერვალი 2024 წ. ქ. თბილისი. თავისუფლების მოედანი №2
12:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:
კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ხელაძე
კომისიის წევრები- გიორგი ტყემალაძე, ლევან არველაძე, ლევან დავითაშვილი, ავთანდილ ცინცაძე, ანა გოგოლაძე, არჩილ გორდულაძე , აკაკი ალადაშვილი, მიხეილ კაკაურიძე.
მოწვეული სტუმრები:
საფინანსო საქალაქო სამსახური-გაიოზ თალაკვაძე, ლევან მიქავა.
სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ხელაძე.
კომისიის სხდომა უფლებამოსილია.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარუდგინა დღის წესრიგი.

1.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.
№11-01240373748 საკრ.№15-03240383-03 7/02/24. №11-01240433042 საკრ.№15-032404387-03 12/02/24.

საკითხი კომისიის წევრებს წარუდგინა გაიოზ თალაკვაძემ

გაიოზ თალაკვაძის მოხსენებით, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების დასაფინანსებლად, ქვეპროგრამებში პირველ კვარტალს ემატება თანხები მეოთხე კვარტლიდან.
კერძოდ: „გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში“ (პროგ/კოდი 01 01 08) 450 000 ლარი.
„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების დახმარება გლდანის რაიონში“ (პროგ/კოდი 05 01 08) - 200 000 ლარი.
„გზების მოვლა-შეკეთება ნაძალადევის რაიონში“ - (პროგ/კოდი 01 01 09) -580 000 ლარი.
„გზების მოვლა-შეკეთება დიდუბის რაიონში“ - (პროგ/კოდი 01 01 10) – 250 000 ლარი, მესამე კვარტლის გეგმის შესაბამისად შემცირებით.
„კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში“ (პროგ/კოდი 02 09 11) – 200 000 ლარი.
„კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში“ (პროგ/კოდი 02 09 13) – 137 000 ლარი.
ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (პროგ/კოდი: 02 10)- 3 270 000 ლრი. მეორე და მესამე კვარტლების გეგმიდან.
სარეზერვო ფონდი (პროგ/კოდი :10 22)- 300 000 ლარი.
წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი“ (პროგ/კოდი 10 26) – 500 000 ლარი
გარდა ამისა ხდება ცვლილება წლიური გეგმაში.
კერძოდ: „ ს.ახმეტელის თაეტრს“ (პროგ/კოდი 08 01 01) ემატება - 148 135 ლარი, საკონცერტო ორკესტრი „ბიგ-ბენდი“(პროგ/კონდი 08 01 01)- 100 000 ლარი. შესაბამისად მცირდება პროგრამა „კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა“ (პროგ/კოდი 08 05)
საერთო ჯამში გადასახდელებში პირველი კვარტლის გეგმა იზრდება 5 969 300 ლარით, მომდევნო კვრატლის გეგმების შესაბამისად შემცირებით.
დაბალანსება ხდება შემდეგნაირად: შემოსავლების გეგმა პირველი კვარტალი იზრდება 3 820 000 ლარით, ნაშთის ცვლილება 2 149300 ლარი.

მომხრე-9

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების

შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის რაიონული გამგეობები, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური და თბილისის განვითარების ფონდი ითხოვს მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების კვარტალურ ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:
“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-3, მე-4 და მე-7 პუნქტების შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილების დანართების შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების კვარტალური გადანაწილების ცვლილებას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე **ირაკლი ხელაძე**